დასკვნა:**დ05. 37233564**
თარიღი:**22/12/2023**

დ ა ს კ ვ ნ ა

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიამ განიხილა „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის სამხედრო აღრიცხვის, გაწვევისა და მობილიზაციის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 29 აპრილის #15 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ“ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი და დაადგინა:

1. 2024 წლის 01 იანვრიდან საქართველოს კანონის - „თავდაცვის კოდექსი“-ის 57-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, სამხედრო აღრიცხვის, გაწვევისა და მობილიზაციის საქმიანობას განახორციელებს საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირი.

2. ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის სამხედრო აღრიცხვის, გაწვევისა და მობილიზაციის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“- ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2022 წლის 29 აპრილის #15 დადგენილება ძალადაკარგულად უნდა გამოცხადდეს. შესაბამისად, კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება განხილვა-დამტკიცების მიზნით საკრებულოში შემოტანილი იქნას მერიის მიერ წარმოდგენილი დადგენილების პროექტი.

ეროდი გორდელაძე

სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისია-კომისიის თავჯდომარე (მოვალეობის შემსრულებელი)

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი